შპს „ემენრიჩი"

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 6
1 ზოგადი ინფორმაცია 7
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა 7
3 ძირითადი საშუალებები 11
4 მარაგები 17
5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 17
6 ფული და ფულის ეკვივალენტები 17
7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 18
8 შემოსავალი 18
9 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 18
10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 19
11 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 19
12 ფინანსური რისკების მართვა 19
13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 21

შპს „ემენრიჩი“

ფინანსური ანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	1,502,541	1,476,560
ინვესტიციები			
არამატერიალური აქტივები		-	
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,502,541	1,476,560
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	4	7,713	18,542
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	42,525	88,075
საგადასახადო აქტივები		12,100	61,875
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	162	1,382
სულ მოკლევადიანი აქტივები		62,500	169,874
სულ აქტივები		1,565,041	1,646,434
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		143,896	143,896
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-1,091,720	-693,963
სულ კაპიტალი		-947,824	-550,067
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	1,030,323	926,464
მიღებული სესხები		1,482,542	1,270,037
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,512,865	2,196,501
სულ ვალდებულებები		2,512,865	2,196,501
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,565,041	1,646,434

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-24 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი	ბუღალტერი
ბექარ ალავიძე	ლილი ფხალაძე

შპს „ემენრიჩი“

ფინანსური ანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	8	693,385	472,459
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(272,565)	(302,401)
საერთო მოგება		420,820	170,058
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(649,689)	(508,290)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(23,052)	
სულ საოპერაციო ხარჯები		(672,741)	(508,290)
საოპერაციო მოგება		(251,921)	(338,232)
ფინანსური ხარჯი		(145,836)	(124,455)
სხვა შემოსავალი			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(397,757)	(462,687)
მოგების გადასახადი			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(397,757)	(462,687)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(397,757)	(462,687)

დირექტორი

ბექარ ალავიძე

ბუღალტერი

ლილი ფხალაძე

შპს „ემენრიჩი“
ფინანსური ანგარიშგება
2023წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023	2022
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(397,757)	(462,687)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	86,774	69,726
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	43,254	(41,539)
ცვლილება მარაგებში	10,829	1,501
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	52,071	(12,105)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	103,859	504,253
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფული	(100,970)	177,723
გადახდილი მოგების გადასახადი	-	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(100,970)	177,723
ძირითადი საშუალების შეძენა	(112,756)	(185,478)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		
აქტივის გამოყენების უფლების შეძენა	-	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(112,756)	(185,478)
ინვესტიციების ზრდა	-	
სესხის აღება	21,2505	455,264
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	0,00	(331,104)
გადახდილი დივიდენდები		
ფულდი ნაკადები ფინანსური სამიანობიდან	212,505	124,160
წლის დასაწყისში	1,382	3,548
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)	(1,221)	2,166
წლის ბოლოს	162	1,382

დირექტორი

ბექარ ალავიძე

ბუღალტერი

ლილი ფხალაძე

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021წლის 31 დეკემბერს	**475,000**	**(231,235)**	**243,725**
კაპიტალის ზრდა/შემცირება	(33104)	-	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(462,687)	(462,687)
გადახდილი დივიდენდები	-		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**143,896**	**(693,963)**	**(550,067)**
კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(397,757)	(397,757
გადახდილი დივიდენდები	-		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**143,896**	**(1,091,720)**	**(947,824)**

დირექტორი

ბექარ ალავიძე



ბუღალტერი

ლილი ფხალაძე

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს "ემენრიჩი" (შემდგომში „კომპანია") საიდენტიფიკაციო კოდით 415601236 წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2021 წლის 26 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ჭიათურა, აკაკი ბაქრაძის ქუჩა 7.

კომპანიის მესაკუთრეები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	წილი
შპს მანგანუმ ლოჯისტიკი	80%
ბექარალავიძე	10%
დავით ხელიძე	10%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შპს მანგანუმ ლოჯისტიკის მიერ მითითებულ სამთო მონაკვეთში მანგანუმის მადნის ზედაპირულ მოპოვებას, გადაზიდვას, გამდიდრებას და შედეგად მიღებული მზა პროდუქციის ჩაბარებას დამკვეთზე, აგრეთვე დამკვეთს უწევს სატრანსპორტო მომსახურებას კონცენტრატის გადაზიდვაზე. კომპანიის საქმიანობის მცირე წაწილს შეადგენს სხვა ფირმების მიერ მოპოვებული მადნის გამდიდრება და ტექნიკით მომსახურება.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.
ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

სააღრიცხვო პოლიტიკა
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.
1 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	**ევრო**
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7	2.9

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში და ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან

- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

<u>ფინანსურ ვალდებულებები</u>

<u>თავდაპირველი აღიარება და შეფასება</u>

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

<u>შემდგომი შეფასება</u>

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

<u>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</u>

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

<u>აღიარების შეწყვეტა</u>

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

	წელი
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

<u>აქტივის გამოყენების უფლება</u>

კომპანიას იჯარით აქვთ მიღებული სატრანსპორტო საშუალებები. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გახადების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას შემდომში შეფასებისთვის აფასებს თვითღირებულების მოდელს:

ა) რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი; და

ბ) დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით, მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებაზე ცვეთის დასარიცხად იყენებს ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“.

თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა უნდა დაარიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა უნდა დაარიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო

ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად 8 წელზე არიცხავს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მინიჭებით, კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება. კომაპნიის არამატერიალური აქტივი არის ორისის საბუღალტრო პროგრამა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონომდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები,

რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

<u>სამართლიანი ღირებულების შეფასება</u>

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.
აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართიანი ღირებულების შეფასებიბსას:
დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებებიფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური

- ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან, საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას, სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.
- ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.
- ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3- ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ

გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

- ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებები და საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის, ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში. • ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს • შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

3 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	500,000	97,255	35,000	279,502	300	195	496,132	1,408,385
შემოსვლა				7,333	2,078	1,356	174,717	185,485
აფასება								
გასვლა								
31 დეკემბერი 2022	500,000	97,255	3,5000	286,835	2,378	1,551	670,849	1,593,868
შემოსვლა	-	111,006	-	1,750				577,269
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	
31 დეკემბერი 2023	500,000	208,294	35,000	288,585	2,378	1,551	670,849	1,706,658
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	
31 დეკემბერი 2021	-	(4,376)	(3,150)	(25,464)	(48)	(-)	(14,535)	(47,573)
პერიოდის ცვეთა	-	(2,830)	(1,750)	(26,030)	(305)	(361)	(38,450)	(69,726)
გასვლა	-							
31 დეკემბერი 2022	-	(7,206)	(4,900)	(51,494)	(353)	(361)	(52,985)	(117,299)
პერიოდის ცვეთა		(10,415)	(1,750)	(26,512)	(164)	(100)	(47,833)	(86,774)
გასვლა								
31 დეკემბერი 2023	-	(17,621)	(6,650)	(78,006)	(517)	(461)	(100,818)	(204,073)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/22	500,000	90,049	30,100	235,341	2,025	1,190	617,864	1,476,569
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/23	**500,000**	**190,673**	**28,350**	**210,579**	**1,861**	**1,090**	**570,031**	**1,502,585**

4 მარაგები

	12/31/2023	12/31/2022
საწვავი	2519	13817
სათადარიგო ნაწილები და სხვა მატერიალურ-საწარმოო მარაგები	5200	4725
ნედლეული და სახარჯი მასალა	54625	149950
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	**62338**	**168492**

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	37,616	80,870
გაცემული ავანსები	17,009	69,080
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	**54,615**	**77,950**

6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2023	12/31/2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	22	77
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	140	1,305
სულ	**162**	**1,382**

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,954,777	1,574,460
მიღებული ავანსები	558,088	622,041
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**2,512,865**	**2,196,501**

8 შემოსავალი

	2023	2022
შემოსავალი მადნის მოპოვების და რეცხვის მომსახურებიდან	469,495	340,700
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან და ტექნიკით მომსახურებიდან	-	
შემოსავალი ტექნიკის იჯარიდან	147,040	13,258
სხვა შემოსავალი	81,757	118,501
სულ შემოსავალი	**698,292**	**472,459**

9 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
დაქირავებული ტექნიკის ხარჯი	19,812	37,028
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	205,433	223,797
	-	
მადნის მოპოვებისთვის და გამდ. გამოყენებული ძ.ს. ცვეთა	86,774	69,726
მადნის მოპოვების და გამდიდრებისპირდაპირი ხელფასები	294,211	241,118
	606,230	**571,669**

10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	232,001	170,084
კომუნიკაციის ხარჯები	51,418	44,553
სხვა საერთო ხარჯი	206,400	148,840
	449,819	**363,477**

11 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში ხელმძვანელი რგოლის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდგენაირად:

	2023	2022
ხელმძღვანელი რგოლის ხელფასები	95,141	100,029

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2023	2022
შემოსავალი	698,292	472,479

	31-12-23	31-12-22
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	54,625	149,950
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,088,987	1,069,023

12 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31-12-2023	31-12-2022
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	54,625	149,950
ფული და ფულის ეკვივალენტები	0,162	1,382
სულ ფინანსური აქტივები	**54,787**	**151,332**
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,088,987	1,069,023
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,088987**	**1,069,023**

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები 2021 წლის ბოლოსთვის.

კომპანიას არ აქვს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებითი ნაშთები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს.ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდური აქტივ-პასივების წმინდა ბალანსი:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	0,162	-	-	0,162
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	54,625	-	-	54,625
აქტივები	**54,787**	-	-	**54,787**
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,088,987	-	-	1,088,987
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-	-

ვალდებულებები	**1,088,987**	-	-	**1,088,987**
წმინდა ბალანსი	**(1,034,200)**	-	-	**(1,034,200)**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდური აქტივ-პასივების წმინდა ბალანსი:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,382	-	-	1,382
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	149,950	-	-	149,950
აქტივები	**151,332**	-	-	**151,332**
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,069,023	-	-	1,069,023
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-	-
ვალდებულებები	**1,069,023**	-	-	**1,069,023**
წმინდა ბალანსი	**(917,691)**	-	-	**(917,691)**

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 31 დეკემბრის თარიღიდან ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას,რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.